დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 24.07.2020, სარეგისტრაციო კოდი -010260020.35.114.016439) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-2 მუხლს ,,რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ს“ ქვეპუნქტი: ,,ს) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას”.

ბ) დებულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტს ,,ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,პ-ფ“ ქვეპუნქტები:

პ) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

რ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

ს) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

ტ) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას.”

უ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;

ფ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარებას.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.